საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 21/00 „ 14 " ივნისი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ი. ილია გოცირიძე
„13" ივნისი 2010 წელი

ეგზ.N2

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში
საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი ..... გვ 3

ნაწილი II – აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები ..... გვ 4

ნაწილი III – ძირითადი ტექსტი ..... გვ 4

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა ..... გვ 4

ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა ..... გვ 4

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა .... გვ 9

გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა ..... გვ 10

დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა ..... გვ 10

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა..... გვ 10

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა ..... გვ 18

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი გვ20

ნაწილი I – შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N15/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) აუდიტორები რაინ ყუფუნია (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ირაკლი გოდუაძე.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური, კამერალური ანალიზი.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0105 ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2 ტელ/ფაქსი: 357828, 357800.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 4 მარტს და დამთავრდა 2010 წლის 26 მარტს.

შემოკლებანი:

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო – სამინისტრო;
2. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი – საბიუჯეტო კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ.

ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. 2009 წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულების მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულმა ცვლილებებმა 28,55% შეადგინა, რაც 18.55%-ით მეტია კანონით განსაზღვრულზე ..... გვ 5

2. სამინისტროს მიერ შეძენილი 0.9 ათასი ლარის მობილური ტელეფონი ნაცვლად ,,საქონლისა და მომსახურების'' მუხლისა უნდა გახარჯულიყო ,,არაფინანსური აქტივების'' მუხლიდან, ხოლო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ,,არაფინანსური აქტივების ზრდის'' მუხლიდან გახარჯული 861.1 ათასი ლარი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის არაფინანსური აქტივების შესაძენი სახსრები, უნდა გახარჯულიყო ,,სხვა ხარჯების'' მუხლიდან ..... გვ 8

3. სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში გაცემული საშინაო სესხების ფინანსური აქტივებში არ აღრიცხვით და მათი სხვა ეკონომიკურ ნაკადებში ასახვით წმინდა ღირებულება შემცირებულ იქნა 15 800,0 ათასი ლარით ..... გვ 13

4. 2009 წლის განმავლობაში, მხარჯავი დაწესებულების მიერ არ განხორციელებულა კრედიტორულ და დებიტორულ (გარდა ნაწილისა) დავალიანებათა ინვენტარიზაცია, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს ..... გვ 15

ნაწილი III – ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

<u>ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა</u>

თავდაპირველი წლიური საბიუჯეტო კანონით, სამინისტროს ბიუჯეტი 57 633,0 ათასი ლარით განისაზღვრა. თუმცა, წლის განმავლობაში საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამტკიცებულმა ბიუჯეტმა 57 911,2 ათასი ლარი შეადგინა.



წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგენილ იქნა, რომ 2009 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დამტკიცებული ბიუჯეტის 31-ჯერ დაზუსტებას. მათ შორის, სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებული ჰქონდა 10 ცვლილება (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები N2, N14, N48, N49, N114, N146, N152, N235, N289 და N783). განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამინისტროს დაზუსტებულმა ასიგნებამ 59 298,2 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტზე 1 387,0 ათასი ლარით მეტი.

ყოველივე აღნიშნულს, გრაფიკულად შემდეგი სახე აქვს:

როგორც გრაფიკიდან ჩანს სხვაობა დაზუსტებულ ბიუჯეტსა და გადახდას შორის 6 166,0 ათასი ლარია, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 10,4%-ს შეადგენს.

წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეული იყო წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებების ეკონომიური ხარჯვით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2009 წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულების მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულმა გადანაწილებამ დამტკიცებული ბიუჯეტის 28,55% შეადგინა, ანუ 18,55%-ით მეტი, ვიდრე ეს კანონით იყო განსაზღვრული[1]. აღნიშნული გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 იანვრის N23 განკარგულებით, რის საფუძველზეც ფინანსთა სამინისტროს დაევალა ენერგეტიკის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 15 000,0 ათასი ლარი საკრედიტო რესურსად გამოეყო შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისათვის". შესაბამისად, 2009 წლის 30 იანვრის N2 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით, 15 000,0 ათასი ლარი „სხვა ხარჯების" მუხლიდან გადატანილ იქნა „ფინანსური აქტივების ზრდის" მუხლში.

ორგანიზაციულ ჭრილში (საბიუჯეტო კოდების მიხედვით), ასიგნებათა შესრულების ანალიზით დადგინდა:

1. **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატი (მათ შორის, ენერგოსისტემის სუბსიდირების ღონისძიებები - 36 03 და უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები - 36 04 კოდი)**

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება (%) (3/2*100)
1	2	3	4	5	6

[1] არ არის დაცული „საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 51[3] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

ხარჯები მათ შორის:	8 066,9	7 281,4	9 156,2	1 798,7	90,0
შრომის ანაზღაურება	*1 698,2*	*1 640,8*	*1 640,8*	*0,0*	*97,0*
საქონელი და მომსახურება	*803,7*	*627,9*	*600,8*	*-27,1*	*78,0*
სუბსიდიები	*3 690,9*	*3 432,0*	*4 200,5*	*768,5*	*93,0*
სოციალური უზრუნველყოფა	*27,0*	*21,5*	*21,5*	*0,0*	*80,0*
სხვა ხარჯები	*1 847,1*	*1 559,2*	*2 616,5*	*1 057,3*	*84,0*
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 140,0	1 137,0	-	-	99,0
ფინანსური აქტივების ზრდა	49 437,0	44 099,2	-	-	89,0
ვალდებულებების კლება	7,3	7,3	-	-	100,0

შენიშვნა:

1. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში 27,1 ათასი ლარის სხვაობა, გამოწვეულია მატერიალური მარაგის შესყიდვით;

2. სხვაობა „სუბსიდიების“ მუხლში 768,5 ათასი ლარის ოდენობით, გამოწვეულია დებიტორული დავალიანების შემცირებით;

3. სხვაობა „სხვა ხარჯების“ მუხლში 1 057,3 ათასი ლარის ოდენობით, გამოწვეულია დებიტორული დავალიანების შემცირებით;

2. ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება (%) (3/2*100)
1	2	3	4	5	6
ხარჯები მათ შორის:	613,0	595,8	595,8	*0,0*	97,19
შრომის ანაზღაურება	*342,3*	*342,3*	*342,3*	*0,0*	*100,00*
საქონელი და მომსახურება	*262,7*	*253,5*	*253,5*	*0,0*	*96,50*
სხვა ხარჯები	*8,0*	*0,0*	*0,0*	*0,0*	*0,00*
არაფინანსური აქტივების ზრდა	34,0	11,6	-	-	34,11

აუდიტის მსვლელობისას დადგენილ იქნა, რომ რიგ შემთხვევაში მხარჯავი დაწესებულების მიერ მისთვის გამოყოფილი ასიგნებები არ გახარჯულა შესაბამისი მუხლიდან[2]. კერძოდ:

1. წლის განმავლობაში შეძენილ იქნა 0,9 ათასი ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი, რაც მოქმედი სტანდარტების (ინსტრუქციის) მოთხოვნების თანახმად წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს. შესაბამისად, აღნიშნული სახსრები ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა, უნდა გახარჯულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან;

2. წლის განმავლობაში, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, „არაფინანსური აქტივების ზრდის“

[2] არ იქნა დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის ბრძანებით დამტკიცებული დანართი N14-ის მოთხოვნები.

მუხლიდან გახარჯულ იქნა 861,1 ათასი ლარი. ვინაიდან, აღნიშნული სახსრები გამოიყენებოდა კერძო სამართლის იურიდიული პირის არაფინანსური აქტივების შესაძენად, მისი გადახდა უნდა განხორციელებულიყო „სხვა ხარჯების" მუხლიდან.

<u>ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა</u>

წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2009 წლის განმავლობაში სამინისტროს დამატებითი სახსრები გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და მან 1 596,4 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ:

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ერგბ) მიერ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის (500 კვ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლისათვის გამოყოფილი საინვესტიციო გრანტის თანადაფინანსებისათვის გამოყოფილ იქნა 209,4 (94,0 ათასი ევრო) ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N114 განკარგულება). წლის განმავლობაში განხორციელებულმა გადახდამ - 120,6 ათასი ლარი შეადგინა;

2. „ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტის" ფარგლებში არსებული დავალიანების დაფარვისათვის როგორც გამოყოფილმა, ისე გადახდილმა თანხამ 7,3 ათასი ლარი შეადგინა (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის N285 განკარგულება);

3. სს „თბილსრესის" N4 ენერგობლოკის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გამართულად ფუნქციონირებისათვის საბიუჯეტო სესხის გამოყოფის მიზნით როგორც გამოყოფილმა, ისე გადახდილმა თანხამ 800,0 ათასი ლარი შეადგინა (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის N671 განკარგულება);

4. ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მიერ 2009 წლის იანვარ-აპრილის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებისათვის სულ გამოყოფილ იქნა 113,5 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 მარტის, 31 მარტის და 5 ივნისის N161; N259 და N411 განკარგულებები), საიდანაც განხორციელებულმა გადახდამ 103,0 ათასი ლარი შეადგინა.

5. ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფის, მოქმედი ტარიფების მოსალოდნელი ზრდის კომპენსაციისა და მაზუთის შეძენის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 466,2 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ნოემბრის და 15 დეკემბრის N16-ს და 021-ს განკარგულებები), რაც სრულად იქნა ათვისებული;

<u>გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა</u>

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს 2009 წლის განმავლობაში გრანტები არ მიუღია.

<u>დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდომარეობა და რეალობა</u>

განხილულია მე-2 საკითში.

1.2. რეკომენდაციები:

1. სამინისტრომ (მხარჯავმა დაწესებულებამ) მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის მოახდინოს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით" დადგენილი პროცენტული ოდენობის ფარგლებში;

2. საბიუჯეტო სახსრების ეფექტური მართვის მიზნით, სამინისტრომ (მხარჯავმა დაწესებულებამ) სათანადო ყურადღება გაამახვილოს მათ დაგეგმვაზე;

3. სამინისტრომ (მხარჯავმა დაწესებულებამ) მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გაწევა, მოახდინოს შესაბამისი მუხლიდან;

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

2.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

საანალიზო პერიოდში, სამინისტროს ბუღალტრული ანგარიშგება სახაზინო სამსახურში წარდგენილი ჰქონდა ვადების დაცვით. წარმოდგენილი

ინფორმაციის საფუძველზე, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მხარჯავი დაწესებულების საბალანსო ანგარიშგებას შემდეგი სახე აქვს:

საბალანსო ანგარიშგება **2010** წლის **1** იანვრისათვის

	ა/გ შენიშვნა	**31.12.2008**	**31.12.2009**
არაფინანსური აქტივები			
წარმოებული აქტივები			
ძირითადი აქტივები	1	1,236,431.00	1,108,749.00
მატერიალური მარაგები	2	4,942,363.00	164,346.00
სულ წარმოებული აქტივები		**6,178,794.00**	**1,273,095.00**
სხვა დებიტორული დავალიანებები			
სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები	3	24,726,059.00	601,200.00
სულ სხვა დებიტორული დავალიანებები		**24,726,059.00**	**601,200.00**
ფინანსური აქტივები			
სხვა ფინანსური აქტივები	4	0.00	0.00
სულ ფინანსური აქტივები		**0.00**	**0.00**
სულ აქტივები		**30,904,853.00**	**1,874,295.00**
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება	5	29,398,248.00	199,703.00
სულ კაპიტალი		**29,398,248.00**	**199,703.00**
სხვა კრედიტორული დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	6	775,588.00	982,189.00
საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		1,630.00	1,630.00
მომუშავეებთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებული ვალდებულებები		89,439.00	89,438.00
სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები	6	639,948.00	601,335.00
სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები		**1,506,605.00**	**1,674,592.00**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**30,904,853.00**	**1,874,295.00**

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

N1 - ძირითადი აქტივები:

	შენობა-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	სხვა ძირითადი აქტივები	სულ
ნაშთი 31/12/2008	540,797.00	274,873.00	417,658.00	3,103.00	1,236,431.00
მატება					
შესყიდული			40,324.00	1,230.00	41,554.00
სხვა ეკონომიკური ნაკადებით			949.00		949.00
გასვლა					
უსასყიდლოდ გადაცემა		38,022.00	13,159.00		51,181.00
ცვეთა	6,740.00	34,723.00	77,541.00		119,004.00
ნაშთი 31/12/2009	534,057.00	202,128.00	368,231.00	4,333.00	1,108,749.00

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, 2009 წლის განმავლობაში სულ შეძენილ იქნა 41,5 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. უსასყიდლოდ გაცემულ იქნა 38,0 ათასი ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები და 13,2 ათასი ლარის ღირებულების სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი. მთავარი ბუღალტრის ახსნა-განმარტებით 36,9 ათასი ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალება გადაეცა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციას, ხოლო 1,1 ათასი ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალება კი - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. რაც შეეხება სხვა მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს, ისინი გადაცემულია სს „საქტრანსმრეწვზე".

N2 - მატერიალური მარაგები:

	სტრატეგიული მარაგები	ნედლეული და მასალები	სათადარიგო ნაწილები	ფულადი დოკუმენტები	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	სულ
ნაშთი 31/12/2008	4,803,679.00	6,026.00		22,854.00	109,804.00	4,942,363.00
მატება						

შესყიდული	19,844,027.00	40,686.00		84,685.00	12,810.00	19,982,208.00
უსასყიდლოდ მიღებული			850.00			850.00
გასვლა						
უსასყიდლოდ გადაცემა	24,647,707.00				1,333.00	24,649,040.00
სხვა ეკონომიკური ნაკადები					949.00	949.00
საქონლისა და მომსახურების გამოყენება		34,241.00		76,696.00	148.00	111,085.00
ნაშთი 31/12/2009	0.00	12,471.00	850.00	30,843.00	121,133.00	164,346.00

წლის განმავლობაში შეძენილ იქნა 24 647,7 ათასი ლარის ღირებულების სტრატეგიული მარაგი (მაზუთი), რომელიც შემდგომ სრულად გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს. მსგავსად სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარისა, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგიც გადაცემულ იქნა სს „საქტრანსმრეწვზე".

<u>N3 - სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები:</u>

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამინისტროს 2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 24 726,1 ათასი ლარის სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები. წლის ბოლოსათვის აღნიშნული თანხა შემცირებულ იქნა 24 124,9 ათასი ლარით (აქედან 2 622,9 ათასი ლარი დაბრუნებულ იქნა ბიუჯეტში) და წლის ბოლოსთვის დავალიანების ნაშთმა 601,2 ათასი ლარი შეადგინა. რაც მთლიანად ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ნავთობკომპანიებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების რეგულირების საფასურის დავალიენებას წარმოადგენს. აუდიტით ასევე დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში დამატებით დებიტორული დავალიანება არ წარმოქმნილა.





***N4** - სხვა ფინანსური აქტივები:*

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ მთავრობის განკარგულებების საფუძველზე გაცემულ იქნა 15 800,0 ათასი ლარის საშინაო სესხები. თუმცა, სამინისტროს მიერ აღნიშნული სესხები, როგორც ფინანსური აქტივები, არ აღრიცხულა და შესაბამისად ანგარიშგებაშიც არ ასახულა[3].

[3] არ იქნა დაცული „საბიუჯეტო სისტემის შესახებ" 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

N5 - წმინდა ღირებულება:

ნაშთი 31/12/2008	შენიშვნა	29,398,248.00
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		23,718,699.00
აქტივების უსასყიდლოდ მიღება		850.00
სხვა ეკონომიკური ნაკადი	1	0.00
სულ		53,117,797.00
შემცირება		
მომუშავეთა ანაზღაურება		1,983,084.00
საქონლისა და მომსახურების გამოყენება		854,298.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		119,005.00
სუბსიდიები		4,200,500.00
სოციალური უზრუნველყოფა		21,539.00
სხვა ხარჯები		2,616,519.00
აქტივების უსასყიდლოთ გაცემა		24,700,221.00
სხვა ეკონომიკური ნაკადი	1-2	15,800,000.00
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		2,622,928.00
სულ		52,918,094.00
ნაშთი 31/12/2009		199,703.00

შენიშვნა 1: აუდიტის მსვლელობისას დადგინდა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2009 წლის 4 მაისს მოქალაქე ნინო გონაძის სასარგებლოდ გადახდილ იქნა 0,6 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანება, სამინისტროს მიერ არ ყოფილა აღრიცხული. მთავარი ბუღალტრის ახსნა-განმარტებით, ეს დავალიანება მათ არ ჰქონდათ აღიარებული და შესაბამისად, მიმდინარეობდა სასამართლო დავა. თუმცა, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ამ თანხის ჩამოჭრის შემდგომ, ბუღალტრული აღრიცხვის სისრულის მიზნით, სამინისტროს უნდა აღერიცხა როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი და შესაბამისად, ანგარიშგებაშიც აესახა.

შენიშვნა 2: სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში გაცემული საშინაო სესხების სხვა ეკონომიკურ ნაკადებში ასახვით, წმინდა ღირებულება შემცირებულ იქნა 15 800,0 ათასი ლარით.

N6 - სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები:

წარმოდგენილი ინფორმაციით, წლის დასაწყისში კრედიტორული დავალიანების სახით, მხარჯავ დაწესებულებას ბალანსზე ერიცხებოდა 1 506,6 ათასი ლარი. 2009 წლის განმავლობაში კრედიტორული დავალიანება გაზრდილ იქნა 168,1 ათასი ლარით და წლის ბოლოსთვის დავალიანების ნაშთმა 1 674,6 ათასი ლარი შეადგინა. წლის განმავლობაშ ადგილი ჰქონდა კრედიტორული დავალიენების როგორც გაზრდის, ისევე შემცირების ფაქტებს. კერძოდ, სამინისტოს აპარატის დავალიანება გაზრდილია 206,6 ათასი ლარით (აღნიშნული დავალიანების გასტუმრება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 31 ივლისის N25 სხდომის ოქმის საფუძველზე აისახა „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში - სამინისტროსათვის გამოყოფილ „ვალდებულებების კლების" მუხლის ასიგნებებში) და ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოში - 0,1 ათასი ლარით. ამასთან, წლის განმავლობაში კრედიტორული დავალიანება შემცირებულ იქნა 38,6 ათასი ლარით (ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ნავთობკომპანიებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების რეგულირების საფასური). შედეგად, 2009 წლის ბოლოსათვის კრედიტორულმა დავალიანებამ სამინისტოს აპარატში 1 062,6 ათასი ლარი, ხოლო ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოსი - 612,0 ათასი ლარი შეადგინა.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამინისტროს 2009 წლის განმავლობაში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის მიზნით არ

მოუხდენია კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია[4], რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეს წარმოადგენს. ამასთან, კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია წარმოდგენილი ცნობის თანახმად, არც გაზისა და ნავთობის ეროვნული სააგენტოში ყოფილა ნაწარმოები. შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი ურთიერთშედარების აქტები. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მხარჯავი დაწესებულების მიერ არ ხორციელდება საკმარისი ღონისძიებები კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად.

რაც შეეხება მხარჯავი დაწესებულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, მას შემდეგი სახე აქვს:

2009 წლის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	
საბიუჯეტო სახსრები	53,132,240.00
სულ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	**53,132,240.00**
1. ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
შრომის ანაზღაურება	1,983,083.00
საქონელი და მომსახურება	881,393.00
სუბსიდიები	3,431,964.00
სოციალური უზრუნველყოფა	21,539.00
სხვა ხარჯები	1,559,165.00
ვალდებულებების კლება	7,270.00
სულ საოპერაციო საქმიანობისათვის გაწეული ფულადი გასავლები	**7,884,414.00**
2. ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
არაფინანსური აქტივების შეძენა	1,148,600.00
სულ საინვესტიციო საქმიანობისათვის გაწეული ფულადი გასავლები	**1,148,600.00**
3. ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
გაცემული სესხები	44,099,226.00
სულ ფინანსური საქმიანობისათვის გაწეული ფულადი გასავლები	**44,099,226.00**

[4] არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-13 მუხლის მოთხოვნები.

ფულადი სახსრების ჯამური მატება/კლება	0.00
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	0.00
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	0.00

2.2. რეკომენდაციები:

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის მიზნით, მხარჯავმა დაწესებულებამ ყოველწლიურად მოახდინოს კრედიტორულ და დებიტორულ (სრულად) დავალიანებათა ინვენტარიზაცია;

2. მხარჯავმა დაწესებულებამ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები კრედიტორულ/დებიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად;

3. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობისა და სისრულის მიზნით, სამინისტრომ მოახდინოს ყველა ოპერაციისა და მოვლენის აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა

3.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად, სამინისტროს გააჩნდა 3 პრიორიტეტი:

1. **ბუნებრივი გაზის გადაცემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პრიორიტეტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო „ბუნებრივი გაზის სექტორში სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები“, რომლის შედეგად უნდა აშენებულიყო მაგისტრალური გაზსადენის ასპინძა-ახალციხის 300 მმ დიამეტრის 30 კმ სიგრძის მონაკვეთი, რითაც გაუმჯობესდება ქვეყნის ამ რეგიონის გაზმომარაგება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 იანვრის N23 განკარგულების საფუძველზე, სამინისტრომ საკუთარი ასიგნებებიდან საკრედიტო რესურსად 15 000,0 ათასი ლარი გამოუყო შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაციას" და გააფორმა მასთან სასესხო ხელშეკრულება, რომელიც შესრულებულ იქნა 2009 წლის განმავლობაში.

2. საქართველოს ჰიდრორესურსების ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა

პრიორიტეტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო „ჰიდრორესურსების შესწავლის, საპროექტო და ექსპერტიზის სამუშაოების დაფინანსების ღონისძიება", რომლის შედეგად შესწავლილი უნდა ყოფილიყო საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენების სქემები.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესწავლილ იქნა მდ. მტკვრისა და მდინარე რიონის ზედა წელის ჰიდროპოტენციალი.

3. მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა

პრიორიტეტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო „ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფის, მოქმედი ტარიფების მოსალოდნელი ზრდის კომპენსაციისა და მაზუთის შეძენის ღონისძიებები", რომლის შედეგად, გაზითა და ელექტროენერგიით უნდა მომარაგებულიყო იძულებით გადაადგილებული პირები.

ამ მხრივ, სართველოს მთავრობის 2009 წლის 26 თებერვლის N138 განკარგულებით, სამინისტროს დაევალა უზრუნველეყო ხელშეკრულების გაფორმება ქალაქ გორში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მშენებარე საცხოვრებელი სახლების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად, რისთვისაც სამინისტროს თავისი ასიგნებებიდან უნდა გამოეყო 365,3 ათასი ლარი (2009 წლის 2 მარტის N56.03-1701 ხელშეკრულება). ამავე დროს, მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით, სამინისტროსათვის 2009 წლის

განმავლობაში, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურების მიზნით, სულ გამოყოფილ იქნა 569,2 ათასი ლარი.

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის
(ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი) აუდიტორები:

ჯგუფის ხელმძღვანელი
რაინ ყუფუნია — ხელმოწერა — 11.05.10. — თარიღი

ირაკლი გოდუაძე — ხელმოწერა — 11/05/10 — თარიღი